საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

# განკარგულება

04/08/2025 N 138

თბილისი

## საქართველოს ეროვნული ბანკის კონკურენციის კომიტეტის 2025 წლის 1-ლი აგვისტოს გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის $47^8$ მუხლის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-10 და მე-14 პუნქტების, მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად,

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის კონკურენციის კომიტეტის გადაწყვეტილება სს „ბაზისბანკის“ (ს/ნ 203841833) მიერ სს „ლიბერთი ბანკის“ (ს/ნ 203828304) აქციების 95.99%-ის შეძენის გზით განსახორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, თანდართული სახით.

2. სს „ბაზისბანკის“ (ს/ნ 203841833) მიერ სს „ლიბერთი ბანკის“ (ს/ნ 203828304) 95.99% აქციების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.

3. განკარგულება გაეგზავნოს საქართველოს ეროვნულ ბანკში შეტყობინების წარმომდგენ პირს.

4. განკარგულება 5 სამუშაო დღის ვადაში გაეგზავნოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

5. განკარგულება 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე, კონფიდენციალურობის წესების დაცვით.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

7. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი